



დანართი №5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა
ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)	445564862
საიდენტიფიკაციო კოდი	

1

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



დაწეებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური საგანმანათლებლო პროგრამა	X
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური საგანმანათლებლო პროგრამა	X
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	X
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
 მონიტორინგის ჯგუფის წევრი
 დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

0.5.



II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
იურიდიული მისამართი	დემეტრე თავდადებულის ქ. N49
ფაქტობრივი მისამართი	დემეტრე თავდადებულის ქ. N49
საფოსტო ინდექსი	6000
დაწესებულების ვებ-გვერდი	
დაწესებულების ელ-ფოსტა	andriapirvelw.skola@mail.ru
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0422276218
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	იაკობ ბენიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593271234

3

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



ელ-ფოსტა	iakob.benidzel@gmail.com
----------	--------------------------

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	ა(ა)იკ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის განცხადება ავტორიზაციის თხოვნის შესახებ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N1103 – 14/11/2019 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იკ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში ვიზიტის შესახებ“.
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ნანა მონიავა ნანა ედიშერაშვილი მარიანე ჯანაშვილი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	27-29 ნოემბერი, 2019წ.
დასკვნის მომზადების თარიღი	06 დეკემბერი, 2019წ.
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	06 დეკემბერი, 2019წ.

4

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

გ.ა.



IV. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	
დაწესებულების მისია	ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა“ ქვეყნის უწყვეტ განათლების სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად განვითარებული თაობის აღზრდას. სკოლის მისიაა მოსწავლეებს შესძინოს ქრისტიანულ ცნობიერებაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; აღზარდოს ისინი ეროვნულ და მსოფლიო ფასეულობებზე, რათა ისინი იყვნენ ღია და გახსნილები საზოგადოებისათვის, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი პიროვნებები, შეიძინონ თანამედროვე საზოგადოებაში დაუბრკოლებელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	ინტეგრაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.
--	---------------------------------------

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

V. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)კ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლას შემუშავებული აქვს 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მისი ნაწილებია: • შესავალი • სკოლის მისია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	• სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები • ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის აკადემიური კალენდარი და სასწავლო საათობრივი ბადე • სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად. გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები(რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემთხვევების დავალებების აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვა); მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა; აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა; შეფასება დაწესებით, საშაზო და საშუალო საფეხურებზე; მოსწავლის შეფასების კომპონენტები; განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები; ქულების გამოანგარიშების წესი; კლასისა და საფეხურის დაძლევა; გამოცდის ტიპები; მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება; გაცდენები; შინ სწავლება; • ინკლუზიური საწავლების კონცეფცია და ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის • სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია • საღვთო სჯულის პროგრამა: საგნის სწავლების მიზანი, საგნის სწავლების ძირითადი მიდგომები, ღირებულებების ჩამოყალიბება, მოსწავლის შეფასების პრინციპები, დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის პროგრამები • პროგრამები ფრანგულ ენაში X-XI-XII კლასების მხედვეთი • პროგრამები გერმანულ ენაში X-XI-XII კლასების მხედვეთი • მეწარმეობის საფუძვლების სწავლების წლიური გეგმა სკოლაში სასწავლო წელი დაიწყება და დამთავრდება კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, მას სემესტრებად ჰყოფს ზამთრის არდადეგები. ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არის 35, I კლასისთვის-32, XII კლასებისთვის – 31 კვირა. III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. პირველ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 35 წუთით, ხოლო II კლასში - 40 წუთით. სკოლაში გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა არის 5 წუთი. შესვენებებს შორის არის ერთი დიდი დასვენება, რომელიც 15 წუთს გრძელდება. ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	სავალდებულო საგანი: ქართული ენა, მათემატიკა, პირველი უცხოური ენა (ინგლისური), მეორე უცხოური ენა (რუსული), ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ბუნება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ისტ (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, საგზაო წესები, სპორტი(მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი). დამატებით სავალდებულო საგნად სკოლა I-XII კლასის მოსწავლეებს შესთავაზებს საღვთო სჯულის (კვირეული დატვირთვა- 2 სთ). სკოლას შემუშავებული აქვს საღვთო სჯულის პროგრამა, გათვალისწინებულია შესაბამისი ლიტერატურის ჩამონათვალი კლასების მიხედვით. სკოლა X-XI-XII კლასის მოსწავლეებს შესთავაზებს არჩევით საგნებს. საგნების არჩევა მოხდება მშობელთა (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები. ამ ეტაპზე სკოლას შემუშავებული აქვს ფრანგული ენისა და გერმანული ენის პროგრამები X-XI-XII კლასების შესაბამისად. ასევე მეწარმეობის საფუძვლების პროგრამა. სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან
--	---

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



და შესაბამემა ეროვნულ სასწავლო გეგმას.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოუთხოვთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა). • სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია ბრძანებით N01-03/04(19.09.2019)). • წინააღმდეგობით გათვალისწინებულ მასწავლებლებთან გასაუბრებით • დირექტორთან გასაუბრებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა ავტორიზაციის მიღების შემდეგ ფუნქციონირებას დაიწყებს შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	სახელობის სკოლის ბაზაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის საფეხურის მიზნები, ამოცანები და შედეგები, დამატებითი საგნების პროგრამები. სკოლაში იფუნქციონირებს 8 კათედრა: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის; 2. მათემატიკისა და ისტ ტექნოლოგიების; 3. ესთეტიკური აღზრდის; 4. სპორტის; 5. საზოგადოებრივი მეცნიერებების; 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; 7. უცხო ენების; 8. დაწესებითი კლასების. შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კათედრის ფუნქციონირების ამსახველი ჟურნალის შაბლონი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრის ფუნქციებია : ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება; ბ) ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; გერმანიის ფედერაციის სახელმძღვანელოების არჩევა და მისი თვალსაზრისით ადგილზე გამოკვრა;
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.); ე) პროფესიული განვითარების გზების დასახვა; ვ) რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შესახებ; ზ) რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ; თ) კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში გათვალისწინებულია კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა, რომელსაც შეიმუშავენს დირექტორი და გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ აქტებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს. სკოლის შიდა კონტროლის მექანიზმებია: • სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობისა და საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა და შედეგების განხილვა თათბირზე, პედაგოგიურ და კათედრის სხდომებზე. • სამოძღვრო გაკვეთილების ორგანიზება-ჩატარება და პედაგოგთა მეთოდოლოგიებისა და გამოცდილების წარმოჩენა-განზოგადება; • დაკვირვება პედაგოგზე, რაც გამოიხატება გაკვეთილზე დასწრებითა და მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების აღრიცხვით.
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ნ. პოძიკი
2024-06-04



	ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა მოსწერების პერიოდული მონიტორინგის გეგმა განისაზღვრება სასწავლო წლის დასაწყისში, რაც გამოიხატება შიდა სასკოლო წერის, ტესტირების, პროექტების მომზადება-პრეზენტაციის, სასკოლო ოლიმპიადებისა და კონფერენციების ორგანიზებითა და მისგან გამომდინარე შედეგების ანალიზით. მოსწავლეთა და მშობელთა მიზნობრივი გამოკითხვითა და ანკეტირებით. ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში გათვალისწინებულია გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ფუნქციონირება. გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ცენტრი წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესის შემდგომ პერიოდში მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-სააღმწერდელი მუშაობის თავისუფალი დროის სწორად წარმართვის საშუალებას და არის სასწავლო-შემეცნიებითი პროცესის განუყოფელი ნაწილი. ცენტრს აქვს თავისი დებულება. ის საქმიანობას განახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმისა და ესგ-ს პრინციპების შესაბამისად. ცენტრის მუშაობას წარმართავს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხელმძღვანელი. დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს.
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა). • სასკოლო სასწავლო გეგმა • სკოლის შინაგანაწესი • კათედრების პორტფოლიოები • გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ცენტრის დებულება • მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა)იკ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური საწავლებლის კონცეფცია და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ტიპები, ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე ისე ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები, მუშაობის ფორმატის აღწერა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებისა და გაცდენების, შინ სწავლების რეგულაციები, სკოლაში მიღების წესი, სასკოლო გარემოს მოწყობა, მოსწავლის პორტფოლიოს აგების პრინციპები, ინდ.გეგმის ნიმუში, მონიტორინგის ფორმა, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმები. სკოლის მიზნების, ხედვებისა და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოუთხოვთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა). • სასკოლო სასწავლო გეგმა • მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მითითლება და ანალიზი

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით: ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაცვანი მინიმალური ბარიერად დაწესებულია 5,0 ქულა.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის

16

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



	მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებული წერილობითი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), გ) შემაჯამებული დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). 1. I-VI კლასებში საშინაო დავალებების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. 2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. 3. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განისაზღვრება სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. 4. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა. სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: ა) სემესტრული გამოცდა; ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; გ) საშემოდგომო გამოცდა;
--	---

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	დ) ექსტერნატის გამოცდა; ე) თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. ა) აკ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • კათედრების პორტფოლიოები • პედაგოგებთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია

19

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან
შესაბამისობის აღწერითი
მიმოხილვა და ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლის მოვალეობაა:

გაცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.)

რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

სასწავლო წლის ბოლოს გაანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

სკოლაში შექმნილი იქნება მშობელთა კომიტეტი. კომიტეტი შედგება 9 წევრით. კომიტეტის წევრი მშობლები ჩართულები იქნებიან სკოლის დისციპლინურ კომიტეტშიც. მათი ინიციატივები

20

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე *გ. ჯიბუაძე*
მონიტორინგის ჯგუფის წევრი *გ. ჯიბუაძე*
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



	გათვალისწინებული იქნება დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შშობელთა კომიტეტის დებულება. შშობლების ინფორმირებისათვის გამოიყენებენ ინდივიდუალურ გასაუბრებას, შშობელთა კრებებს, ელექტრონული შეტყობინებებს, სატელეფონო საუბრებს, სკოლის ვებგვერდს და სხვა. შშობელთა გამოკითხვები გათვალისწინებულ იქნება სკოლის მონიტორინგის მექანიზმებშიც. სკოლის განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში გათვალისწინებულია სასკოლო ცხოვრებაში შშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმების სრულყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამით • ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შეუმუშავებელია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლაში მონიტორინგს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი	აღწერითი
ახორციელებს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, რომელიც ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს და ხარისხის მართვის მექანიზმებს. მონიტორინგი ხორციელდება სწავლისა და სწავლების მიმართულებით. ის ყოველკვირულ ინფორმაციას მოაწვდის დირექტორს. იკვლევს და ეცნობა პედაგოგთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს მათი განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს. სკოლაში ასევე მუშაობენ სასწავლო ნაწილები, რომლებიც გააკონტროლებენ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას, აანალიზებენ შემაჯამებელი სამუშაოების, სემესტრულ და წლიურ შედეგებს კათედრების დახმარებით, ორგანიზებას გაუწევენ საგნობრივ ტესტირებებს, რეიტინგულ წერებსა და გამოცდების მიმდინარეობას მოადგილესთან ერთად. დაამუშავებენ მონაცემებს და წარუდგენენ დირექტორს. სკოლის განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია: სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის (და მისგან გამომდინარე პროგრამების) შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნა-დაკომპლექტება, შიდა მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისათვის კრიტერიუმების და მონიტორინგის პროცედურების შემუშავება, სკოლის შიდა შეფასების ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგი, კალენდარული გეგმებისა და შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარება- შეფასების სისტემის ესგ-სთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელება კათედრების მიხედვით, სადამრიგებლო პროგრამების მონიტორინგი საფეხურების მიხედვით, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა სამუშაო ვალდებულებების შესრულების	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შეჯამება და ანალიზი(სამომავლო ღონისძიებების განსაზღვრა), ანგარიშების მექანიზმების შემუშავება-გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • ინტერვიუები • მონიტორინგის სისტემა • ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გამოსაშვები გამოცდები გაუქმებულია 2019 წლის აპრილიდან. ამიტომ საწავლო გეგმიდან ამოღებული უნდა
-----------------	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



იყოს.	ეროვნული სასწავლო გეგმის "მუხლი 23. სასკოლო საათობრივი ზადე" სასკოლო საათობრივი ზადე გულისხმობს. 1. ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. შესაბამისად სასწავლო პროცესის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე აუცილებლად უნდა იყოს სრულყოფილად გათვალისწინებული. არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი წარმომადგენელი
24



2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მესაკუთრე - სსიპ „სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია“. ამონაწერში (საჯარო რეესტრი) დაფიქსირებულია შენობის ფართი - 6625,9 კვ.მ., რომლის მონათხოვრე ამ ეტაპზე არის შპს „ბათუმის წმინდა ანდრიაპირველწოდებულის სახელობის სკოლა“. 2019 წლის 4 ოქტომბერს სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის (ს/კ 204395537), წარმომადგენლის ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრის სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე შედგენილია წინარე თხოვნის ხელშეკრულება ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლასთან“. ხელშეკრულების

25

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



	საგანს წარმოადგენს ქ. ბათუმში დემეტრე თავადადებლის ქ. #49_ში მდებარე შენობის ნათხოვრობა. ნათხოვარი ნივთი წარმოადგენს 2823.00 კვ.მ-ზე არსებულ შენობა-ნაგებობათა კომპლექსს 6098,7 კვ.მ ფართით. ნათხოვარი ნივთის გამოყენების დანიშნულებაა ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის“ განთავსება. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან მონათხოვრის მიერ ავტორიზაციის გავლისა და თხოვრის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. შენობის მთლიანი ფართი წარმოადგენს 6625,9 კვ.მ-ს. ა(ა)იპ ბათუმის წ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას დაეთმობა წინარე ხელშეკრულების საფუძველზე დაეთმობა 6098,7 კვ.მ ფართი, ხოლო დარჩენილ 527,2 კვ. მ-ი გადაეცემა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიას (ს/კ 445433674). (დანართი 4). შენობას გააჩნია 5 შესასვლელი. სამი ეზოდან, ხოლო 2 ქუჩიდან. სემინარიის ფართი არის ძველი კორპუსის მეორე სართულზე. ფართების გამოჯვანის შედეგად ერთერთი შესასვლელი კარი და კიბის უჯრედი მომსახურება მხოლოდ სემინარიას. საგანგებო სიტუაციის დროს სვეტუაციო გეგმის მიხედვით ამ კიბით ისარგებლებენ, ისევე როგორც სხვა გასასვლელით, სკოლის
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა
გ.ა.



	მოსწავლეები: დღეისათვის გამოცხადებული სემინარისა და სკოლის ფართი არ არის, თუმცა ა(ა)იპ ბათუმის წ. ანდრია პრველწოდებულის სახელობის სკოლამ წარმოადგინა განსახორციელებელი სამუშაოს გასამოქმადო კედლის მონტაჟის ხარჯთაღრიცხვა და ნახაზი. (დანართი 2).
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, დიმიტრი თავდადებულის #49
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	05.22.47.001
კვ.მ.	2826.00 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2. 2019 წლის 4 ოქტომბრის წინარე ხელშეკრულება ფართის გადაცემაზე 3. დანართი 2- გამყოფი კედლის მონტაჟის ხარჯთაღრიცხვა 4. დანართი 4- შენობის მეორე სართულის ნახაზი.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინფრასტრუქტურით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2019 წლის 12 ოქტომბერს შპს „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას (ს/კ 245445610) და ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას“ შორის გაფორმდა წინარე შეთანხმება მატერიალური ქონების გადაცემაზე, რომლის თანახმადაც სკოლას გადაეცემა მის ბალანსზე არსებული ქონება ავტორიზაციის გავლის შემდეგ სამი დღის განმავლობაში.

სკოლის შენობაში არის 76 ოთახი. მათ შორის:

54 საკლასო ოთახი, ყველა ოთახს აქვს ფანჯარები, განიავების საშუალება.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მერხებით, სკამებით, მასწავლებლების მაგიდებით, სკამებით, ტუმბოებით, კარადებით.

სკოლას აქვს ინდივიდუალური 1340 მერხი და 1402 სკამი. ისინი ძირითადად ერთი ზომითაა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	წარმოდგენილი (2-3). ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია დაფებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ტუმბოებით. 2 ოთახი-ლაბორატორია ჭკვიანი დაფებითა და საჭირო ტექნიკით, სათავსო ოთახებით; 2 კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტქსელში ჩართული; 1 ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება. რადიოცენტრი შესაბამისი ქსელით სკოლის სრული შენობის პერიმეტრზე, ხმოვანი სისტემით; დიდი სპორტული დარბაზი სველი წერტილებით, გასახდელებით, კალათბურთის ფარებით, ხელბურთისა და მინიფეხბურთის კარებით და საჭირო რესურსებით, ტენისის მაგიდა და ტანვარჯიშის სკამებით; ორი პატარა სპორტული დარბაზი სვედური კედლებითა და რესურსებით; სააქტო დარბაზი ამფითეატრული წყობით 128 ადგილიანი, სცენით, სვეტილაციო სისტემით, განათებებით, ხმოვანი სისტემით;
--	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



	ხელოვნების ოთახი; სამედიცინო ოთახი; რესურსოთახი; საინფორმაციო ბაზების მექანიზმის ოთახი შესაბამისი ტექნიკით; ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და ტექნიკოსონალისთვის 10 სხვადასხვა ტიპის ოთახი; ბუფეტი ძველი კორპუსის მესამე სართულზე;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა). ინვენტარის დოკუმენტები. ვიზუალური დათვალიერება.

30

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
-----------	---

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკლაში არის დიდი სპორტული დარბაზი სველი წერტილებით, ვაჟთა და გოგონათა გასახდელებით, კალათბურთის ფარებით, ხელბურთისა და მინიფეხბურთის კარებით და საჭირო რესურსებით, ტენისის მაგიდა და სატანვარჯიშო სკამებით; ორი პატარა სპორტული დარბაზი შვედური კედლებითა და რესურსებით; დარბაზები აღჭურვილია სპორტის გაკვეთილებისათვის საჭირო მრავალფეროვანი რესურსებით. სკოლის ეზოში არის მცირე სპორტული მოედანი ერთი საკალათბურთო ფარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
-----------	---

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია Smart დაფებითა და საჭირო ტექნიკით, სათავსოებით. ასევე აქვთ ცალკე ოთახ-ლაბორატორია სველი წერტილით, სადაც შესაძლებელია ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება. მოცემული ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ჭურჭლით, მანიპულატორებით, რეაქტივებითა და რესურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წინარე შეთანხმება მატერიალური ქონების გადაცემაზე (12/10/2019) • 01.08.2019 წლის ხელშეკრულება (SG26072019/1) შპს "ორიენტოჯიკთან"
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

32

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ბ. მთიურაძე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ბ. მთიურაძე
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება საკალაქო ქსელიდან, რომელთა გადასახადებს, ვიზიტის დღემდე იხდიდა შპს „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა“. სკოლის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა. ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის“ შენობის ყველა სართულზე განლაგებულია ტუალეტები ვაეებისთვის და გოგონებისთვის, ტუალეტებში დაცულია სან-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემაა შესაბამისი გაყვანილობებით, ყველა ოთახი, დერეფნები, დარბაზები თბება ამ სისტემით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე *ბ. ზინჯიძე*
მონიტორინგის ჯგუფის წევრი *ბ. ზინჯიძე*
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სკოლის ბიბლიოთეკა განაწილებული სამ სივრცეში მეექვსე სართულზე. ბიბლიოთეკას აქვს ფართო სამუშაო ზონები, წიგნდი ფონდით 4765.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის როგორც მხატვრული ლიტერატურა, ისე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფიერებული სახელმძღვანელოები.

სკოლას გააჩნია სამსახურებრივი ინსტრუქციები, სადაც დეტალურად არის აღწერილი ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები. ასევე წარმოდგენეს ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პრველწოდებულის სახელობის სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულებაც, სადაც აღწერილია ბიბლიოთეკის მიზნები, წესები და პროცედურები.

34

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე
მონიტორინგის ჯგუფის წევრი
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.



მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ა(ა)იპ „ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულება • წინარე შეთანხმება მატერიალური ქონების გადაცემაზე (12/10/2019) დანართი 1.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეათვის	
